

# სასოფლო გაზეთი

ეროვნული  
გამოცემისა

## მორი წელი 1869

გამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის  
კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის  
ქუჩაზე, თ. ბებუთოვის სახლში, ბოლიციის გვერდით.

ტფილისის გარე მცხოვრებთათვის ადგიკი. ვ. ხ.  
თიფლის, ვ. კონტორი რედაქციის „სელსკი გაზეთი“,  
მელიქიშვილის და მამაში.

განვითი ტფილის	გაუგზავნებათ:
და გარეშე ადგილებში:	გან.
მოთის წლის — 4 მან.	— 3
ნახევრის წლის — 3 —	— 2
სამის თვის — 1 ა. 50 კ.	— 1 ა.

შეველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა და გლეხების უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტო-  
რაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და მამაში. სტამბაში.

№ 10. შპათი.

II.

24 მაის 1869 წ.

**უ 10 არსი:**  
შპათებლობის განკარგულება.— მაცის გა-  
ულენა ბუნებაზე.— იმილისის აკლიმატიზაცი-  
ის სტანცია.— სამეურნეო ცნობები.— საექი-  
მო ცნობები.— სხვა და სხვა ამბები— მუთაისის შე-  
მოსავალ-გასავალი.— ლექსი.— საფარო ცნობები.—  
ზნცხადებები.—

მოხსენებული ჭირის დროს მიიღონ ეს უ-  
რადღებაში და დარიგებისაგარათ მოიქცენ.

ლუბერნატორი თრლოვსკი.

დარიგება.

ვნის თურქულასი და გადასა-  
დები პირუტყვის სიკოჭლის წამ-  
ლობა.

1) ავათმყოფი პირუტყვი უნდა მოაშო-  
როთ კარგა მყოფს.

2) ავათმყოფს პირუტყვეს უნდა აჭამოთ  
წყალში არეული ბურღული, ან ფქვილი გა-  
რილით.

3) უნდა აიღო ნახევარი სტანციი თაფლი,  
ორი სტოლის კოვზი ძმარი, ერთი თავი და-  
ნაყილი ნიორი და ერთი მისხალი დანაყილი  
კოჭა; ეს უკეთა უნდა აუზიო ერთად და  
წაცხო დღეში ორჯელ ენაზე და პირში  
იმ ადგილებზე, სადაც იარები აქვს პირუტყვს;  
ამას გარდა პირი უნდა გამოჰქმოთ ხოლმე  
ძმრითა და წყლით.

4) პირუტყვეს, რომელსაც ფეხები სტკია,  
ჩლიქებზე უნდა შემოადგათ ფურის ცხელი  
ნეხები და ხშირად უნდა შეასხათ ფეხებზე ცი-  
ვი წყალი, ან წყალში ჩაყენეთ მუხლებამ-  
დინ. თუ ფეხებზე იარები აქვს, მაშინ მო-  
აყარეთ იარებზე შაბი და თუ ჩლიქებს  
შეა დასიებული მუწუკები აქვს, მაშინ გაუ-  
ჭიროთ ისინი და ჩირქი გამოსწურეთ.—

საზოგადოთ ჭავათმყოფს პირუტყვეს ავათ-  
მყოფობის დროსა თბილი წყალი უნდა ასეთ;

მშრალი საჭმელი კი მორჩენამდინ არ უნდა  
აჭამოთ.—

ბუბერნის ექიმის თანამდ. აღმასრულ,  
დარპოვის იმ.

პირუტყვების ექიმი მორცეტი.

### სახელის ნაწილი.

#### კაცის გავლენა გუნდაზედ.

ჩვენ უკეთადი დედა-მიწის შეიღები ვართ:  
როგორც ახალგაზდა ბავშვს ზრდის მშობელი,  
აცმევს, ახურავს, აჭმევს და ასმევს, ისე ჩვენ კ  
მოელ ჩვენ სიცოცხლეში გვაცმევს, გვასმევს  
და გვაჭმევს დედა-მიწა, ანუ ბუნება, რომე-  
ლიც გარს გვახვევია. მრთი სიტყვით ბუნებ-  
ა გვაძლევს ჩვენ სიცოცხლესა.—

შენიშვნულია, რომ ადგილობრივს ბუნებას,  
ესე იგი, ადგილის მდებარეობას, მის ჰაერს,  
მიწის ნიადაგს, მცენარეებს და ცხოველებს,  
დიდი ზედ მოქმედება აქვს კაცის აგებულო-  
ბაზე, ზენობაზედ და თვით მისს ჭკუზედაცა.  
ასე რომ, თუ ვიცით რა ადგილზე სცხოვ-  
რებს, რომელიმე ხალხი, რა ჰაერა არის ამ ად-

გილში, რა ნიადაგი, რა მცენარეები იზრდე-  
ბიან იქ და რომელი ცხოველები ცხოვრებენ,  
მაშინ ჩვენ თითქმის ბეჯითად შეგვიძლია ვთ-  
ქვათ— რა ხასიათის ხალხი უნდა სცხოვრებდეს  
იქ, რა სახის არიან ისინი, როგორ ამუშავე-  
ბენ მიწას, რა ჭკუისანი არიან და სხვა. რასა-  
კვირველია, ჩვენ მაშინ არ შევსცდებით ამას-  
ში, როცა ეს ერთ დიდ ხანს სცხოვრებდა ამ  
ადგილზე და მაშისადამე, როცა ერთსა და იგი-

ეე ბუნების მოვლინებაებს დიდხანს ჰქონდ  
იმაზე ზედმოქმედება. შართველებს გვაქვ  
ერთი ანდაზა, რომელიც ძლიერ კარგათ გა  
მოთქვამს ამ მეცნიერების ჭეშმარიტებას; ჩვე  
ვამზობრი: „სარი სართან დაბი, ან ფერს იც  
ვლის, ან ზნესაო.“ ჩვენ ყველამ ვიცით-რ  
დიდი გულება აქვს ჩვენზე ჩვენ დედ-მამა  
და საზოგადოო იჯახს, ესე იგი, იმ პირთ  
რომელნიც ჩვენ სიყმაწილიდგან გარს გვა  
ხვევიან. თითქმის ყოველთვის კარგი, პატი  
ოსანი და ჭკუანი დედ-მამის შეიღლი—კარგი  
პატიოსანი და ჭკუანი კაციც დადგება და  
ბოროტ იჯახში გაზღილი ბავში, თითქმის  
ყოველთვის ბოროტი და ავი შეიქნება.—მაც  
მარტო კაცის ხასიათზე და ჭკუაზე აქვს გავ  
ლენა, ბუნებას კი, როგორც ზევით ესთქვით  
იმას გარდა, რომ კაცის ჭკუაზედ და ხასიათ-  
ზე აქვს გაელება, მისს აგებულებაზედაც და  
კეთილდღეობაზედაც აქვს დიდი გავლენა დ  
ზედ—მოქმედობა.—

მაგრამ როგორც ბუნებას აქვს გავლენა  
კაცზე, ისე კაცსაცა აქვს ბუნებაზე გავლენა.  
ჩევნ ამ საგანზე გვინდა ამ მოლაპარაკება.—

შოველი ერის ისტორია გვიმტკიცებს ჩვენ,  
რომ პირველად — როცა ის გაუნათლებელი  
ყოფილა, იმას არა კითარი გაელენა არა ჰქო-  
ნია ბუნებაზე; მაშინ თვითონ ბუნებას ჰქონია  
იმაზე დიდი გავლენა; იმას (გაუნათლებელ  
ერს) ეშინია ყოველი მოვლინების; არ შეუძ-  
ლია ახსნა-ჩისაგან წარმოსდგება რომელიმე  
მოვლინება; არ შეუძლია წარმოდგენა, რომ  
ყოველი მოვლინება ბუნების კანონებზეა და-  
მყარებული და რომ არაფერი არ მოჰდება  
ქვეყანაზე ბუნების წესს გარეთ; ის ყოველ  
მავნებელ მოვლინებას ბოროტს სულს აბრა-  
ლებს და სასარგებლო მოვლინებას კი კე-  
თილს სულს (ანგელოზს); გაუნათლებელმა  
კაცმა ის კი არ იცის, რომ მარგებელი და  
მავნებელი მოვლინებაები ყველა ბუნების კა-  
ნონებზეა დამოკიდებული და ხშირად მისი  
ბრალია. შემდეგ, როცა ერთ ცოტ—ცოტად

მილებს განათლებას, ის იტყობს ყოველ მო-  
ვლინების მიზეზსა და სუდილობს, რომ თე-  
ოთონ დაიმორჩილოს ბუნება და ისარგებლოს  
იმისაგან თავის ცხოვრებაში.—ზაუნათლებე-  
ლი კაცი ისე უგუნურად ეპყრობა ბუნებას,  
რომ ეს ბუნება თეოთონ იმას აენებს ხლომე  
შემდეგში; ყველაზე უფრო ის აენებს იმას,  
რომ დაუტოვავთ ჰქაფაში ტყეს და მუშაო-

ბის დროს მიწას არ აპატიებს. ჩა გავლენა  
აქვს ტყეს რომელიმე მხარეზე, ის წინანდელ  
„სასოფლო გაზეთის“ მე 9 ნომერში („წ ი-  
მ ა“) იყო მოხსენებული. მიწა რომ უპატი-  
ვოდ კარგ ნაყოფს ვერ მოიყავას, ეს ყველას  
ვამოცდილი გვაქვს: გლეხ-კაცმა იცის რომ,  
თუ ორს ან სამს წელიწადში ერთხელ მაინც  
არ მოაყარა პატივი თავის ყანას, არ მოა-  
ხოლმე ხეირიანი პური, თუ ძალიან ნოკიი-  
რი მიწა არ არის; ეს ამიტომ არის, რომ ყო-  
ველ მცენარეს, მაშასადამე პურსაც, მიწიდან  
მიაქვს საზრდო, საჭმელი; კარგ მიწას ჩვენ  
ვეძახით იმისთანას, საღაც ბევრია პურის, ან  
სხვა რამე მცენარის საჭმელი ნაწილები; პა-  
ტივი, ესე იგი პირუტყვის ნეხვი, ისე შეერ-  
გება პურს, სიმინდს და სხ. როგორც კაცი  
კარგი მარგებელი საჭმელი, როგორც მწვა-  
ლი მაგალითად.— გაუნათლებელს ერს არ ეს-  
მის არაფერი ესენი და ამიტომაც უზოგავათ  
სჭრის ტყეს და არც მიწას აპატიებს ხოლმე.  
აქედან წარმოსლებება ის, რომ ეხლა ის ად-  
გილები, საღაც წინედ გაუნათლებელი ერი სა-  
ხლებულა, გარდაკუცულა სრულებით უნაყო-  
ფო აღვილებათ, უდაბნოებათ. ამის მიგალი-  
თები ჩვენ ბევრი ვიცით: უმეტესი ნაწილი  
სპარსეთისა და მესოპატამიისა (იერუსალიმის  
მხარე), საღაც უწინ ერნი ძლიერ მდიდრუ-  
ლად და კმაყოფილებით სცხოვრებლნენ, ეხ-  
ლა, ცუდათ ოჯახობის წაყვანისა გამო, გარ-  
დაქცეულია თითქმის სრულებით უნაყოფო  
აღვილებათ; აგრეთვე ზოგიერთი იტალიის  
მაზრები ეხლა უდაბნოები არიან, იმ მიზეზისა  
გამო, რომ უწინდელ დროში რომაელების  
მონები დაუდევნელად და უგულოდ მუშაო-  
ბლნენ ბატონების მიწებზე თავიანთ მებატონე-  
ბისათვის. ამერიკაში ტყის გაკაფეს იმისთანა  
შედეგები ჰქონდა, რომ მაგალითად მაროლი-  
ნაში, იქ საღაც უწინ მშევნიერი ბამბა და  
სხვა ყველაფერი მოსავალი მოსდიოდა, ეხლა  
ტყეების გაოხრების შემდეგ, სრულებით არა-  
ფერი არ მოსდის.—

სად; აგრეთვე ერთგვარი წრდოლებულის მიერ  
მი და სხვა ბევრი დიდი პროცესუალურუამ ელ  
ნიც უწინ მრავალ რიცხვი ყოფილან, ეხლ  
კი ერთსაც ვერ იპოვის კაცი მთელ დედამი  
წაზე.— **P**

შრინველების რიცხვიც სულ თან და თა  
მცირდება, ამიტომ რომ ყოველ წელიწად  
ბევრს ხოცვენ და მერე ხშირად იმ დროს  
როცა ფრინველები კვერცხებს სდებენ ხოლ  
მე. შრინველების დახოცა ბევრს ზიანს მია-  
ყენებს კაცს, თუ ფრთხილად არ მოიქცა; უმე-  
ტესი ნაწილი ფრინველებისა სჭამს ბუზან  
კალს, ან ჭიებს, რომელებიც ძლიერ მავნე  
ბელნი არიან ჩვენი ყანებისათვის და ბოსტ-  
ნეულობისათვის; ამიტომაც ყოველი კაცი უნ-  
და სცდილობდეს, რომ გამრავლდეს ამინთან  
ფრინველები და არ დახოცოს ისე უზადვავა-  
და წინდაუხედავთ, როგორც აქამომდრ ჰხო-  
ცავდა. ნამეტურ ბაეშები აფუჭებენ სოფლებ-  
ში ბევრს კვერცხებს; ეს იმათ ეხალისებათ  
მაგრამ ვნება, რომელიც აქედან წარმოსდგება  
იმათ არ ესმისთ; დედ-მამის ვალია-დარიგო-  
ისინი.— მერცხალი ტყუილად არ მიგვაჩინა ჩვენ-  
წმინდა ფრინველად; ის ძლიერ სასარგებლო-  
ჩენთვის, რადგან უანგარიშოთ ხოცაეს დ-  
სჭამს სხვა და სხვა მავნებელ ბუზანკალებსა-  
და ჭიებს. სულ უმიზეზოთ გვეზიზდება და  
გვისძულს ჩვენ თხუნველა (მულუ) და ბუ; ესე-  
ნი ორივე ძალიან მარგებელი არიან; თხუნ-  
ველას ბოსტანში ბევრი სარგებლობა მოაქე-  
მით, რომ ბოსტნეულობის მავნებელ ბუზან-  
კალებს სჭამს ხოლმე და ბუ-რომ მოაშინა-  
უროს კაცმა (იმის მოშინაურება ადვილია),  
შერწმუნეთ, თაგვები და ვირთხები ისე აღარ  
შეგაწუხებდათ, როგორც ეხლა გაწუხებენ. თა-  
კვებისაგან განთავისუფლებისათვის კარგია აგ-  
რეთვე ზღარბი (ბუძგი), რომლის მოშინაუ-  
რებაც შესაძლებელია.— მრთი სიტყვით გა-  
უნათლებელი კაცი სცდილობს ყოველი გზით  
სარგებლოს ბუნებით; მაგრამ ცუდი და მავ-  
ნებელი ის არის, რომ ის არ უყურებს სახ-  
არს: იმას უნდა, რომ მარტო თავის თავი  
ამოიყანოს და შემდეგ-რაც იქნება-დარდი  
რა აქს.— ზანათლებული კაციც იმას სცდი-  
ლობს, რომ რაც შეიძლება მომეტებილად  
სარგებლოდ იქნდან, რაც გარს ახვევია; მა-  
რამ იმას ესმის-რა იქნება ცუდი საბოლოოდ  
ისთვისა და მისს მთამომავლობისათვის და  
მითომ ასე 1... 4... 2... 3... 2... 3...

თ წუკიდეს საქმე; მაგალითად ის არას-  
ეს არ მოპკაფავს ტყეს იმისთანა ადგილას,  
ც ის საჭიროა; იმას ესმის-რა მოსდევს  
— მე წარმოვადევნ რამდენსამე მაგალითს-  
ვავლენა აქვს კაცს ბუნებაზე და რა საქ-  
ი ჩაუდენია იმას დედა-მიწაზე სწავლისა  
ეცადინეობის შემწეობით.—

შუალ საუკუნოებში ღოლანდიელები,  
ლებიც სცხოვრებენ ჩრდილოეთის ზღვის  
რას, ხედავდენ რომ მათი მხარე ცოტ-ცო-  
იწევდა ძირს და ზღვა კი შემოპდიოდა  
რომევდა იმათ ნიადაგ სახნავ—სათევს  
სა. ისინი იძულებულნი იყვნენ ხშირად  
დაეხიათ და დაენებებინათ ზღვისათვის  
საუკეთესო ადგილები; მის მაგიერად  
ზღვის პირზე მოეშენებინათ ტყეები,  
იწლნიც დაიფარავდნენ მხარეს ამ წარლვ-  
ან და ნაპირების მოქვიშვისაგან, ისინი  
ოს იმათ მიიღეს საშუალება, რომ დაი-  
ან მაჟული ზღვისაგან. ღოლანდიელებმა  
თვე ზღვის ნაპირებზე თხრილები, გააშე-  
რელახლათ ტყეები, ამოიყვანეს ქვით-კი-  
ედლები იქ, სიდაც უფრო მაგრად აწვე-  
ზღვის ზეირთები; ასე რომ ეხლა იმათ  
საქმე მიწას ვერ წაართმევს ჩრდილოე-  
ს ლენა. მაგრამ ამით არ დაკამაყოფილდნენ  
; ეხლა პირიქით შეეცილენ ღოლანდი-  
ი ზღვასა: იმათ ჩასყარეს მიწა, ქვიშა და  
ზღვაში ნაპირების მახლობლად და ისე  
სეს, რომ ეხლა ამ ზღვისაგან წანართმევ  
დებზე ბევრი იმათგანი სცხოვრებს და  
იყრი ბალები აქვთ ზედ გამართული.—  
აზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ  
ინდიელებმა ამოაშრეს მთელი დიდი ზა-  
ის ტბა, შემდეგ ამოაქსეს ის მიწის თა-  
რიად და ეხლა იმ ადგილას, სადაც უწინ  
ამის ტბა იყო, გამართულია სახლები  
შეენიერი ბალები.— ამ მეცადინეობის  
ღოლანდიელებმა ჯერ ერთი ადგილი  
ეს და მერეთ ეხლა ჰავაც გაუმჯობე-  
ს ჰვეყანაში; ისე ნოტიო და ჯანმთე-  
სათვის მავნებელი ალარ არის, როგორ  
იყო.—

ის ტალიის მაზრაში არის ერთი ვაკე  
იო, რომელსაც ეწოდება სახელად ხა-  
რი. მს ადგილი წინეთ იყო სრულებით  
ეცხოვრებლებისათვის, რადგან  
ეს ბაზო იყო საესე ჭაობაებით და

ტბებით და ძლიერ მავნებელი ჰავა იღვა ამის  
გამოისობით; ამბობენ თითქმის მერცხალსაც  
ეშინოდა იქ გაფრენისაო, არათუ კაცი დასა-  
ხლებულიყვეს.— მხლა სიანის ბარზე გაავლეს  
თხრილები, ამოავსეს მიწით ჭაობისანი და ტბე-  
ბიანი ადგილები და ცოტა ხანს შემდეგ ისე  
გაკეთდა აქ ჰავაც და ნიაგიც, რომ მცხოვრე-  
ბლები დიდის კმაყოფილებით ჰყიდულობენ  
აქ ადგილს და ესახლებიან.—

ამისთან მაგალითები ბევრია. ზემოხსენე-  
ბული ორი მაგალითი გვიმტკიცებს ჩვენ, რომ  
კაცი დიდი გავლენა აქვს და კიდევაც ექვნე-  
ბა ყოველთვის ბუნებაზე, თუ ჯეროვნი მე-  
ცადინება და სწავლა მოიხმარს. რასაკვირვე-  
ლია თავის სწავლაც და მეცადინებაც იმან  
უნდა მოიხმაროს იმისთვის, რომ, რაც შეი-  
ძლება, მომატებული სარგებლობა მოუტანოს  
თავის თავს და რომ მისი შრომით შთამომაუ-  
ლობამაც ისარგებლოს.—

## ს. 8.

თბილისის აქლიმატიზაციის სტაციია,  
ანუ უცხო ცხოველებისა და მცენარე-  
ების მოსაზოგადოების გაღი.

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენში მიაქციეს  
უურადლება ბუნების სწავლისა და სასოფლო  
სახლოსნობის გაუმჯობესობას. მხლანდელი  
საუკუნეს ორმოცდა თორმეტმი პირველად  
დაფუძნდა თბილისში „სასოფლო სახლოს-  
ნობის საზოგადოება“, რომელიც იკვლევდა  
აქაური მცხოვრებლების სახლოსნობის ნაკ-  
ლულებანებას და, შეძლებისა და გვარად, აძ-  
ლევდა ჩვენს ხალხს ჩევას—თუ როგორ უნ-  
და გაუმჯობესოს იმან თავის მეურნეობა.  
მაგრამ ეს ჩევას იყო მხოლოდ სიტყვით;  
და სიტყვით ჩევას ძნელათ მიიღებს ხალხი:  
სანამ თავის თვალით არ დაინახას რომელი-  
მე საქმის სარგებლობას, მანამ ის უურებსაც  
არ გაპარტუკუნებს.— შეერჯერ მრჩეველებიც  
შესცდებოდნენ ხოლმე და ურჩევდნენ იმ გვა-  
რი სახლოსნობის იარაღების შემოტანას, რო-  
მელნიც ჩვენში ან სულ გამოუდევარი, ან  
ძნელ მოსახმარისი და ერთობ ძვირი იყო.  
ვისაც თავისუფალი ფული ჰქონდა, ისინი მა-  
ინც იმარებდნენ ამ იარაღებისა და, რომ გა-  
მოსცდილნენ იმის უხერხობას, მაშინ უფრო  
ეს ბაზო იყო საესე ჭაობაებით და ტკედრდებით  
და დაკვიდრდებოდნენ იმ აზრზე, რომ „ისევ

მამა-პაპურ გუთანს არა სჯობიარი გუდის გუ-  
ლა ახალი წესის მტრები ჰელებოლნენ. ამ გვა-  
რი შეცდომაები იმიტომ მოხდებოდა ხოლმე,  
რომ მრჩეველებმა მარტო წიგნით იცოდნენ  
ეს საქმე და მხარის გარემოება, ავა, ნიადა-  
გი და ჩვეულებაები კი არ იცოდნენ კარგათ  
და არც უგდებდენ რიგიანად ამ საქმეს უუ-  
რადლებას.—

ამ სწავლული მრჩეველების აზრით ერთ-  
ხელ სორგოს თესლიც გადმოიტანეს ჩვენში  
და უნდოდათ იმისი გავრცელება, მაგრამ რა-  
მდენიმე წლის განმავლობაში სორგოსაგან  
შეჩრისა და სპირტის მაგიერათ, ნამჯის მეტი  
ვერა გამოიღეს რა. რამდენი კაპიტალები და-  
პლატა უსარგებლოდ ამ სორგომ ჩვენში! მს  
მცირედი მაგალითი ცხადათ გვიმტკიცებს,  
რომ საქმე ჯერ კარგათ უნდა გამოსცადოს  
კაცმა და შემდეგ უნდა შეუდგეს იმას. სო-  
რგო კარგათ მოპდიოდა ზოგიერთ სამხრეთის  
ქვეყნებში; ჩვენი მხარეც სამხრეთისა არის. მაშასადამე ჩვენშია უნდა მოსულიყო სორ-  
გო; მაგრამ, როცა გამოსცადეს, კი არ მოვი-  
და; მაშასადამე აქედანა სხანსა, რომ ყველა  
მცენარეებს და პირუტყვებსაც თავისი ადგი-  
ლი აქვთ, ასე რომ ერთი ადგილიდან და ჰავი-  
დან მეორე ადგილზე და ჰავაზე გარდატანას  
ყველა მცენარეები და პირუტყვები ვერ მოი-  
თხენენ. ჩვენ ძალიან ყურადლებით უნდა ამო-  
ვარჩიოთ ის ადგილი, საცა გვინდა რომელი-  
ვე მცენარისა, ან ცხოველისა ახლად მოშე-  
ნება.

მს იყო მიზეზი, რომ ზოგიერთ პირებს მო-  
უებიდათ აზრში იმ გვარი ბალისა დაფუძნება  
თბილისში, რომელშიაც შეიძლებოდა გამოც-  
და სხვა და სხვა გვარი სასარგებლო პირუ-  
ტყებისა და მცენარეებისა ჩვენს მხარეში შე-  
მოსატანათ. მერე, როდესაც აქ ისინი გამო-  
იცდებიან და ამონ დება შესაძლოთ მათი ჩვენ-  
ში გავრცელება, მაშინ უშიშრათ თითონ ხალ-  
ხიების გავრცელებს. იმათ. მაგრამ ამ გვარი ბა-  
ლი, რასაკვირველია, მოინდომებდა ცოტაო-  
დენს საშუალებასა და პირნი კი, რომელნიც  
შეუდგნენ ამ ბალის დაფუძნებას, იყენენ სრუ-  
ლებით უსაშუალონი. იმათ მოაწყეს პკლი-  
მატიზაციის ბალი პირებით ცელაბარში და  
შეჩრდებით ერთობ მარტო სიტყვით; მერე გადაი-  
დება გადაიტყვით მარტო სიტყვით; მერე გადაი-  
დება გადაიტყვით მარტო სიტყვით; მერე გადაი-  
დება გადაიტყვით მარტო სიტყვით; მერე გადაი-

შემდეგში ისინი მიხედნენ, რომ მარტო თავიანთი საშუალება ამ საქმისათვის არ არის სამყოფი და არც უნდოდათ თავის დანებება ამ გვარი სასაჩირებლო საქმისათვის; ამისთვის იმათ მიშვარული მშართებლობას და სოხოვეს, შეიცა იმათვის შემწეობა; მშართებლობამაც მიიღო ამ საქმეში მონაწილეობა და მისცა ამ საქმის დამწყებას უ. სიტოვსკის შემწეობა; ასე რომ, იმედია, ეს საქმე შემდეგში კარგათ წავა და ბევრს სარგებლობასაც მოიტანს. პატ საქმეზე შემდეგში ჩვენ კიდევ მოეილაპარაკებთ.

### სამუშაოთ აგგები.

#### ცხენის ხორცის ხმარება.

მეცნიერებურლში სულ თან და თან ხშირდება ცხენის ხორცის ხმარება; სამიოთხი წელიწადია მას აქეთ, რაც გაჩნდა პირველად შეერინის ქალაქში ცხენების საკასპოები. პატ ქალაქიდამ როსტოკის ქალაქშიაც გადავიდა 1867-ს წელში. პირველი ცხენის საკასპო. პ. როსტოკი გააღეს 1867-ს წელს გაზაფხულში, შეორე შამოდგომაში და 1868 წლის დამდეგს მესამე და შეოთხე. შხვა ცხენების საკასპოები ზოგი ერთ სხვა ქალაქშიაც არის გახშირებული, მაგალითად: ლობერანში და სხ.. მეცნიერებურლის ცხენების საკასპოები პოლიციის მხედველობის ქვეშ არიან და მარტო იმას შეუძლია ცხენის საკასპო გააღოს, ვისაც მშართებლობიდგან ნება აქეს მიცემული. შოველს მეცნიერებული უნდა ჰქონდეს დაეთარი, რომელშიაც უნდა ჩაიწეროს: ა) საკლავი ცხენის ცხადი ნიშნები, ბ) ყიდვის დრო, გ) გამომუდეველის სახელი, დ) ცხენის დაკვლისა და გაყიდვის დრო და მეცნიერის სახელი და ე) საკლავი ცხენის სიმრთელის მოწმობა პირუტყვის ექიმისაგან.

პირუტყვის ექიმი ყოველთვის გასინჯავს ხოლმე ცხენებს დაკვლამდის; გასინჯავს დროს, თუ რამე სწორების ნიშანი შენიშნა, მაშინ ექიმი უნდა გამოიკვლიოს დაკლული ცხენის ხორცი და შემდეგ ის ან მისცემს გაყიდვის ნებას და ან არა.— ის პირუტყვები, რომლებსაც აქეს გადამდები სწორების ნიშანი, ანუ ცივების, ანუ რომელიც გასივებულია და მუწუკები აყრია ტანზე და ანუ რომელსაც აქეს ჭლერქის ნიშანი, არ უნდა დაიკლას გასასყი-

დლათ. უფრო ბევრ ცხენებს ხოცუენ შემოდგომაზე და ზამთარში, რადგანაც თესა-მკა გათავებულია მაშინ და მეოჯახე მოიშორებს მომეტებულ საქონელს; ამის გამო მაშინ უფრო იაფიც არის ცხენის ხორცი. ზაზაფხულში და ზაფხულში კი უფრო მომატებული ფასი აქეს; ამ დროს ხორცი არ ინახება კარგად და არც ისე ბევრი იყიდება, როგორც შამოდგომაზე და ზამთარში. საკასპოებში მოყვანილ ცხენებში, მეცნიერები აძლევენ ხუთი მამეთიდგან ოც და ათ მანეთამდის; საკასპოებში მოჰყავთ დასაკლავად სულ ბებერი ცხენები, რომლის ნიშანი გრძელი კბილებია და ქალარა ბანალი. 1868-ში როსტოკში დაიკლაორასი ცხენი, როსტოკში დაკლულის ცხენის ხორცის ხმარებენ მარტო შიგ ქალაქში მცხოვრებლები, სოფლებებს კი ძლიერ ცოტა მიაქვთ და ქალაქს გარეშე ადგილებში თითქმის სულ არ გააქვთ. პარგად მომზადებული ახალი ცხენის ხორცი თითქმის არც კი განიჩევა კარგის ძროხის ხორციდან და ძლიერ გემრიელია. ამ ქალაქში ძლიერ უკავართ ცხენისა და ლორნის ხორცისაგან ერთად შემზადებული კუპარი. პარგად დაშაბულ ცხენის ენას ვერ გამოიცნობს კაცი ხარის ენიდგან. ცხენის და ძროხის ხორცი ერთმანეთში განიჩევა ქონით და ძვლით; სხვით არაფრითა; თუ ერთს ნაჭერს ხორცში იქნება ქონიცა და ძვალიც, მაშინ ადეილი გასაჩევება. ცხენის ქონი ძლიერ თხელია და ერბოს მიემზავება, ყვითელს ფერს იცემს; ძროხის ქონი კი უფრო მაგარია და თეთრი ფერისა არის.—

პ. პოსტორობის გუბერნიის ექიმი ამბობს, რომ მარგიმუ—შკი (თაგვის შაქარი) ძალიან მოუხდა ციმბირის ჭირიდგან ავათმყოფს პირუტყვებსაო.

მრთს ჭირიმის გაზეთში სწერენ, რომ აქაურმა ბალების პატრონებმა დანიშნეს საჩურჩად (5,000) ხუთი ათასი მანეთით იმისთვის, ვინც მონახავს იმისთანა საშუალებას, რომ ბალის ჭიები ამოსწყვიტოს.—

შარშან „მაცეკასიის სამეურნეო საზოგადოების“ წერებებს ჰქონდათ მოლაპარაკება იმაზე, რომ იხმარონ რამდენ ღონისძიება აბრეშუმის ჭიის ავათმყოფობის მოსასპობლად. „საზოგადოებამ“ რამდენჯერმე დაიბარა სამზღვარის გა-

რეთიდან ახალი აბრეშუმის თესლები და ცურიგა აქაურ მეოჯახეებს; მაგრამ აქედან შოსული ჭიები მაინც ავათ ჰედოდნენ ცუდი აბრეშუმიც მოჰყავდათ. ბამის გამო „ავკასიის სამეურნეო (საზოგადოებაში“ სოხმის უმაღლესობას მაცეკასიის ნამესტინიკას, რთა მისცეს მას „საზოგადოებას“ შემწეობამ სამ სამ წლის განმავლობაში იმუშაონ არეშების ჭიის ავათმყოფობისაგან გასათავის უფლებელ საშუალების მოსანახავათ; ნამეს ნიკა მისცა „საზოგადოებას“ ჯერ 2,313 მადა სამი წლის განმავლობაში 1,500 მანეთი ძლევას დაპირდა. მეს საქმე მიაბარეს „საზოგადოების“ საქმის მშართველს უ. სიტოვსკი რომელიც მუშაობს ამ საშუალების მოსანხად თავის მეცნიერინებით დარსებულსა აკლიმატიზაციურ სტანციაში, მიმილის ში გრაიდის ბალის მახლობლად.—

### ახალი საშუალება საკულტო გადონის დაცვის შესაგან კარტოფილის დაცვის დაცვის გადონი.

უ. სიესტენმა პრესიაში აცნობა იქაურს მურნეობის ვეზირსა, რომ იმან მონახა იმისთვის წამალი, რომელიც უხდება კარტოფილ ავათმყოფობის დროს. უ. სიესტენი გვარშენებს, რომ ეს წამალი იმან ძლიერ ბევრჯე გამოსცადა და ყოველთვის მარგებელი და ჯითი გამოდგა. მეს საშუალება არის შემდგამი: უნდა აიღო სამჭედლოდგან ექვსი ნაწილი დანაყილი ნახშირიანი ნაგევი, ერთი ნაწილი და ერთი ნაწილი აღიმარება ერთმანეთში, დაზილო ძელ კარგა ნაეთის ზეთში. ამ ნაირად შემცემული წამლით კარგად უნდა მორჩილი იდგინები, სადაც კარტოფილი უნდა დატესოს; უნდა მოსახა ეს წამალი კვალები კარტოფილის დათესის დროს. მარტოფილ ამოსველის შემდეგაც მოელს სახნავზე უნდა მოასხათ ეს მიწის სასუქი.— მეურნეობის ვაზირმა მიაქცია ამ საქმეს ყურადღება და ნდობ გამოსაცდელად მცოდნე პირებს, რომ ლთაც ამ ზაფხულში უნდა გამოსაცავონ—მრთლა მოუხდება კარტოფილს ავათმყოფის დროს ამნაირი საშუალება, თუ არა—

შასულს წელში პრესიის მშართებლობა სოხმოვეს, რომ ის ფულები, რომელიც დანულია საჩურქრად დოლების დროს, გაეუ

ორ ნაწილად და ერთი ნაწილი დაენიშნათ  
საჩქრად მისთვის, ვინც კარგი ჯინშის შინა-  
ურ რქიან პირუტყვებს მოაშენებს. ამ წინა-  
დადების სარგებლობას უმტკიცებდნენ იმით,  
რომ უმტკესი ნაწილი მეოჯახებისა აშენებენ  
შინაურს პირუტყვსაო და იმათ გაშენებაზე  
არის დამოკიდებული დარიბი მეოჯახების სი-  
მლიდრე.

შრომი გაზეთი გვაცნობებს, რომ ბოვემიაში  
გრაფის შეარცენდერების მამულში არიან და-  
ყენებული ნეხვის ხელოსნებით, მს ნეხვის  
ხელოსნები უმეტესი ნაწილი მოხუცებული,  
უძლური კაცები არიან; იმათ უჭირავთ  
ხელში ხელის პატარ-პატარა ურმები, ნიჩქები  
და ცოცხები და იმათი მოვალეობა ის არის,  
რომ უნდა აგრივონ ეჭოებში და ქუჩიბში  
წვირე—ნაგავი და ნეხვი და უნდა მოუყარონ  
ამათ ერთად თავი და შემდეგ მიწის სასუქად  
გამოიყენონ.—

შარსული წლის 27-ს ოკტომბერს ქ. ბო-  
რდოში გაიყიდა ოცდა ერთი ბოთლი ღვინო  
სახელად შატო-ლაფიტი ათას ჩვეას შეთერთ-  
შეტე წლიდანშენახული (1811 წ., თითო ბო-  
თლში აიღო ღვინის პატრონმა ოცდა ათ  
შან ეთამდი). —

საქართველო ცნობები

አገብ-ዶ.ጋ.ዕ.ሮ.ሮ.ስ ተመልከቱ

Ծայ սաելլ՛ն զայցա ցումբ մշեն, մա՞ն ճայ-  
պոնքելով պնդա գալուցանոտ ու ոմ ռոտենօ-  
ցան, սալապ մշեն ճայցա; გաեալցետ բանտ սալմբ-  
լու, ցամուշցոյտ տօնուատ սածնելլ՛ն ու թամաւ-  
չալոնց, ույ հռմ տայո մալլուատ չէյոնձը. Տան-  
գուն սեսան լոյր ինցալու պնդա պեսես սաեցից  
ու շուլիչյ; տայո հռ լոյր ինցուոտ ճասցելց-  
ծուլ ունուատո պյուխցոտ, ուսու մուսխցըթա.  
Ամաս ցարճա ցարհինիոյու մշուցելիչյ ճակարա ու  
ու հուտյու բանիչյ թամա արցցմե. — Ծայ յե պնդ-  
պոնքոմա ցայցետ մոնքուար պայմանու կալս,  
մա՞ն այ հռցուր պնդա մոոյցուոտ: պնդա թա-  
մուչջունոտ ցարուուլցեպնուլո մորսա ու աեալու  
մոտենուու մոթա պյուխցահռոտ սոմիցցուոյց  
տոտյմու տայամու, ույ հռմ პորս ցար-  
սուպուլայցըրո թոթա չէյոնձը ճամ-  
լուլու; ամ նաուրա պնդա ճասուցուոտ թյեթ-ճա-  
պումուլո յրտո սատուս ցանմաղուանի ու նեա-

დისხან სახეზე წყალი უნდა შეასხათ,  
რო საშუალება ეს არის; სხვა ექიმის  
როგორც იმწამდევე უნდა მოიხმოთ. —

თუ ბაეშეს რამე გაეჩხირა ყელში, მაშინ  
უნდა ეცალოთ რამე რიგათ, რომ დაახველოს:  
ბაეში უნდა მოპხაროთ წლში და ზურგზე  
დაარტყათ რამდენჯერმე კარგა მაგრათ ხელი;  
ეს უათუოთ დაახველებინებს და დახველების  
დროს შეიძლება გამოაგდოს პირიდან ის,  
რაც გაჩხერია ყელში. თუ იმისთანა რამ გაე-  
ჩხირა ყელში, რომელიც წყალში დნება, მა-  
შინ ხანდისხან წყალი უნდა გადაყლაპინოთ,  
რომ დააღნოს წყალმა და სტომაქში ჩაიყვა-  
ოს. მაგრამ თუ არც დახველებამ უშველა  
და არც წყალში დნება, მაშინ კი ექიმი უნდა  
დაიბაროთ; ხანდისხან თითოთაც შეიძლება  
ამოლება, მაგრამ ძალიან ფრთხილად კი უნდა  
მოიქცეს კაცი, რომ ყელში გაჩხირებული  
ძვალი ან სხვა რამ, უფრო ძირს სტომაქისა-  
კენ არ ჩასწიოს.—

## დაგენერაციული მასალები

სიდამბლის დაცემა ადამიანს იმაზედ შეეტყობულა, რომ ცნებასა, მგრძნობელობას და თავის ნებით მოძრაობასა ჰყარგავს; მაგრამ სუნთქვა, გულისა და მაჯის ცემა კი არ ეკარგება. სიდამბლის დაცემის დროს კაცს პირველათ თავბრუ ესხმის, თვალები უბნელდება, სულის ძლივას იბრუნებს, ენა უმძიმდება, ლაპარაკის მაგიერათა ლულლულებს, ან სრულებით ენა ებმის; მერე ავათმყოფს გრძნობა ეკარგება და, რობა მიხთილი, იარის—

რაკი პირველი ნიშანი შეატყოთ, მაშინ უკან  
ავათმყოფს ტანისამოსის ღილები უნდა გაუხ-  
სნათ და ლოგინზე უნდა წამოაჯდონოთ ისე,  
რომ თავი მაღლა და შიშველად ჰქონდეს;  
ფეხები კი ძირს ჩამოშეებული და თბილად  
გახევული უნდა. ავათმყოფის ოთახი უნდა  
იყოს გრილი და მყუდრო; იმ ოთახში, სადაც  
ავათმყოფი წევს, უნდა იყვნენ მარტო მომვ-  
ლელები. თუ ცნება სრულებით არა აქვს და-  
კარგული, სანუგეშებელი სიტყვებით ავათ-  
მყოფი უნდა შეატყონ; ამას გარდა ამ ნაირ  
ავათმყოფს მოუხდება კიდევ გამაგრილებელი  
და შემდეგ სასაქმებელი სასმელებიცა. ამ სა-  
შუალებაების შეტი, არაფერი არ უნდა იხმა-  
როთ ექიმის მოსელიაზდი; ეჭიმი მალე უნდა

მოიყვანოთ; სისხლის გამოშევძლებულების მოსკოვი  
ელამდი ძილიან სიფრთხილოფრუქნდა და დატყუშა  
ლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ძნელი აგა-  
ომყოფია და ექიმი შორს არის.—

## ჭაველს სიგაზრისადას ვეიგონა

Ցյենս სიმყრალე ავათმყოფობა არ ახის  
ამიტომ რომ, ვისაც ფეხი უყარს, ის არაფეხს  
ტკიფილს არა გრძნობს ხოლმე, მხოლოდ  
ფეხები ძალიან უოფლინანდება. მა ოფლისა-  
გან წარმოსდგება ფეხების სიმყრალეც; ზოგი-  
ერთი ძეველებური ექიმები ამობდენ, რომ ფე-  
ხის ოფლობან ავათმყოფობაები და სენი გამო-  
დიან ტანიდანაო და ამიტომ მარგებელია ფე-  
ხის ოფლი კაცისათვისაო; ამიტომაც ისინი არ  
უექიმებდენ და არ არჩენენ ხოლმე ამისთა-  
ნა ავათმყოფს. ღოკტორი შტერნი ამბობს,  
რომ ძეველი ექიმები სცდებიანო: ფეხის სიმუ-  
რალით კაცი ვერაფერი ავათმყოფობისაგან  
ვერ განთავისუფლდებაო, რადგან იმის შიზე-  
ზი მარტო თვითონ ფეხის მომატებული თვ-  
იანობა არისო. სიმყრალე წარმოსდგება იმის-  
გან, რომ ოფლი და წინდები, მომეტებული  
სიცხისაგან და უწმინდურობისაგან, ლპება და  
ცუდი სუნი აუდის. შენიშნულია, რომ ვისაც  
სქელი და მაღალ ყელიანი წალები აცვია, იმას  
უფრო ხშირად უყარს ფეხები, ვიღრე იმას  
ვისაც თხელი და მოკლე ყელიანი ფეხსაცმე-  
ლი აცვია, მაგალითად. მაშმაკები: ქალებს  
ძოლირ იშვიათაო უყართ თხიბიძა-

Ծյցდან Տիանե, հոռմ զուսակ զյենքի պարև,  
շնձա ցըածու, հոռմ զյենքու ռոյլու թու-  
թու դա վիճութ դայինու զյենքի. Զյենքու  
ռոյլու թուսասկողելագ ցյիմենի սրիցեն սա-  
սամեցելու, ան ցյցունու հայրաւ բինցւեթի դա  
ուց հաւմաս; Եւ այտմացումա, հասակարացելու,  
համացենչերմա շնձա ქնաւ դա ցյիմոնիս քրու  
գունին; Վիճութ տնու քիշունուս.

Յօնավ յս սամցալցի ար մռցեմահյեթու, բա-  
մին ար հռցուն սամց մռովուց ուն դա բա-  
ցուցես աղոտոյելի լա մռուտեռցուն „Ըօնակոլուս  
մալումու“ (Ըօնակոլուն էլլատքյըն); օմաս մօնց պար-  
սկացուցելուու; Ամ մալումու սամց դասես Յհա-  
զանուս Քյոտո, տաճախուրու Քյոնոնսա, լա ուսց արյ-  
շուլու գալցա Արքելութե սանամ մալումու ար ցա-  
լուցցի ծառական, կարցատ անուլու; անցունուս Մյոմցցի Քյ-  
անքի Քմինդա Ծոլութիւնը լա ուսց Մյոմտունդուն

ფეხებზე, ქუსლებს გარდა. ამ რიგათ გახვეულ ფეხებზე უნდა ჩაიცა წმინდა წინდებიდა ახალი ფეხსაცმელი; კარგია თუ ფეხსაცმელი მოკლე ყელიანი იქმნება; ჩევნებური ფოსტლები ან ქოშები ყველას სჯობია. დღეში თრჯელ უნდა გამოცვალო ტილო, გაიწმინდო ფეხები რითომ (არ უნდა დაიბანო) და ახალი ტილო ახალი მაღამოთ წაცემული უნდა შებოიხიო ხოლმე ისევ ფეხებზე. ამ-ნაირი ექიმობა ერთ კვირას, ან მეტს უნდა განაგრძელო; ექიმობა არაფერს არ მოუშლის კაცს; ავათმყოფს შეუძლია ამ დროს იაროს და როგორც უნდა ისე იმუშავოს. როცა შეატყობს ავათმყოფი, რომ ფეხები აღარ უყარს, მაშინ უნდა გაიწმინდოს ისინი ფეხილით, ან სახამებელით, და შემდეგ შეუძლია ჩაიცას მაღალ ყელიანი ფეხსაცმელიც.

ამ ნაირი წამლობით ბევრი განთავისუფლებულა ამ უსიმოვნო ავათმყოფობისაგან. თუ რამოდენიმე წლის შემდეგ კიდევ მოუბრუნდა ეისმე ეს ავათმყოფობა, მაშინ იმან ხელახლავ უნდა მიჰმართოს ზემოხსენებულ საშუალებასა—

### სხვა და სხვა ამბავი.

ერთ რუსის გაზეთში სწერენ, რომ ინგლისში გამოიგონეს იმისთანა ზარბაზანი, რომელსაც ექვსს ვერსზე გააქვს ტყვია; რამდენიმე ლულა ერთად არიან თურმე მიჭიდილნი და მერე ურემზე არიან დაკრულნი; ურემს ერთი ცხენი ზიდავს. ამ ზარბაზანს ორი კაცის შეტი არ სჭირდება; იტენება უკანიდან და ძლიერ ზორისა და ხშირად ისერის ხოლმე, როგორც ამბობენ.—

ამერიკის შეერთებულ-შტატებში უკანასკნელი გამოანგარიშებით ორ მოც ში ლი-ონ ამ დეა მცხოვრებლები. წარსულ საუკუნეს ბოლოს, როცა შტატები ინგლისს ემორჩილებოდნენ, იყო მარტო ორი მილიონი და ნაცენვარი მცხოვრები; შემდეგ ამერიკა განთავისუფლდა ინგლისისაგან და კარგი მმართებლობა გაიწყო თავისთვის. აქედან სჩანს, რომ კარგი მმართებლობის გაწყობილობას და თავისუფლებას დიდი განვლენა აქვს ხალხის გამრავლებაზე და მისს ჩევნი გლეხ-კაცია ისეთ საჭმელებას სჭამს

ინგლისში გამოიგონეს ერთნაირი ფეხი, რომლისთვისც შეშის მაგიერად ლამპის ზეთს (კერასინს) ხმარობდნ. თრი მინუტის განმავლობაში იმისთანა ცეცხლისა და სითბოს გა-ჩენა შეიძლება ამ ფეხში, რომ რაც გინდა, იმას შესწავ; გინდა პურს გამოაცხობ, გინდა მოხარშავ რასმე და სხვა.

### ლ ვ ი ნ ო.

სხვა და სხვა ლვინოს სხვა და სხვა მოქმედება აქვს კაცზე; თითქმის ყოველ ლვინოში ურევია, ზოგში ბევრი და ზოგში ცოტა, ალ-კოგოლი, ანუ სპირტი, რომელსაც აქვს კაცის ტვინზე დიდი ზედ-მოქმედება. საზოგადოთ ლვინო ახალისებს, ააღმარინებს და უმატებს კაცა. ამას გარდა ის სითბოს უმატებს კაცს ტანში, სისხლის ბრუნვას აჩქარებს და ოფლის დენასაც უმატებს; ის ოცნებაში ჩაიტაცებს კაცა და სულს აცხოველებს. მაგრამ ბევრი ლვინო კი ვნების მეტს ვერაფერს სიკეთეს დაყრის კაცს. წყლის მაგიერ სასმელად ლვინო არ უნდა იხმაროთ, რადგან ის წყურვილს ვერ მოუსპობს კაცს; წყლიანი ლვინო კი კარგია, ნამეტურ ზაფხულში, როცა ერთობ ცივია წყალი.

კარგი ნამდევილი ლვინო ძალიან მარგებელია საჭმელის მონელებისათვის; ის ეხმარება სტომაში და წელებში საჭმელების მონელებას, თუ ბევრი არ დალია კაცმა და თუ არაფერი არ არის ლვინოში გარეული. თუ ლვინო შუშხუნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმასში უნდა იყოს გარეული რამ; ამ ნაირი ლვინო არ მოუხდება კაცს, ის მარტო ტვინზე მოქმედობს.

ლვინის ხმარება საზოგადოთ ზომიერი უნდა. ტანმთელმა კაცმა, რომელიც ბევრს არ მუშაობს, სულაც რო არ დალიოს ლვინო და სხვა და სხვა სასმელები, არა უშავს რა. მუშა კაცს, სუსტი აგებულობის პატრიონსა და მოხუცებულს ზომიერად ლვინის სმა ყოველთვის მოუხდება.

ჩვენებურმა გლეხკაცმა რო ლვინო არ სეა, მგონია, გაუჭირდება სიცოცხლე; უღინოთ იმას არ შეუძლია მუშაობა ხეირიანად; ჩვენ კაცს უღინობა გაუჭირდება პირებელად იმიტომ, რომ ის ძალიან მუშაობს და მუშა კაცს, როგორც ზევით ქსტევით, უხდება ხოლმე ლვინო; მეორეთ იმიტომ რომ ჩევნი გლეხ-კაცია ისეთ საჭმელებას სჭამს

(მეტეთში ლობიოსა და ლომს), რომ დაიწოა არ დალიოს ზედ, უსათუოთ მუდმივ უფასო წენება და მუშაობის ჯანი არა და ტომაც ჩვენ, შეძლებისამებრ, უნდა უსცილობდეთ, რომ გავაუმჯობესოთ ლვინის მოსავალი.—

### რ დ ვ

რე რომ ძალიან მარგებელია კაცისათვის, ეს იქიდანა სჩანს, ჰრომ ახალ დაბადებული ბავში მარტო იმით ჩენება; სასმელიც ის არის იმისი და საჭმელიცა. რძის ნოკიერობა წარმოსდგება იმისაგან, რომ ის შეიცავს ყველა-ფერს იმ ნაწილებს, რაც კაცის სხეულისათვის საჭირონი არიან, ესე იგი, ქონს, ცოტა რკინას, ცილას, შაქარს, ფოსფორიან კირსა და სხვას. მსენი სუყველა უუცილებლად საჭირონი არიან ჩვენი სხეულისათვის.

ძალის და პირუტყვის რე ერთ ნაირი არ არის; განსხვავება წარმოსდგება იმისაგან, რომ ქალის რეში ზოგი ნაწილები მეტია და ზოგი კი ნაკლები; ქალისა და ძროხის რძეს შეას განსხვავებაა, რომ ქალის რეში უფრო მეტი შაქარია და ნაკლები წყალი; ძროხის რეში კი შაქარი ნაკლებია. სხვა და სხვა პირუტყვების რძეს შეაც არის განსხვავება, მაგალითად ძროხის რეში უფრო ბევრი ქონია, ვირის რეში კი უფრო მეტი შაქარი და ნაკლები ქონი.

იმას გარდა რომ რე მარგებელია, ის უფრო ადვილი მოსანელებელიც არის; ამიტომაც თეითონ ბუნებას დაუნიშნავს ახალ დაბადებული ბავშისათვის საჭმელად რე. ახალ დაბადებულს ისეთი ნაზი და სუსტი სტომაკი აქვს, რომ ძნელად მოსანელებელს საჭმელს ის ვერას გზით ვერ აიტანს.

რძის შაქარი სტომაკში იქცევა ქონად; ამას ეხმარება თეითონ რძის ქონიც. ჰონი კი, თუ-მცა თეითონ არ არის კაცისათვის მაინცა და მაინც ძალიან მარგებელი, მაგრამ იმას იმისთანა თეისება აქვს, რომ შეაქვს ტანში სხეულისთვის მარგებელი საჭმელის ნაწილები.—

ზარდალულების გამო რე თითქმის სრულიად არ იცვლება, არც ნოკიერობა ემატება და არც სხვა რამ; დუღილი მარტო ჰარტის ჰედენის რძიდება. რძის გარდალულება ამიტომაც კარგი, რომ შეაც ტანში სხეულისთვის მარგებელი საჭმელის ნაწილება.

ქ. შუთაისის ჯემოსავალი, 1868 წლის.

შემოსავალი სახელები.	დებულობით უნდა შემო- სულიყო.		ნამდევილ შემოვიდა.		უნდა შემო- ვიდეს 1869 წელს.		არ გარდაუ- ხდევინებიათ.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1 საქალაქო ცარიელი აღგი- ლებილან. — — — —	3,000	"	3,304	78	"	"	"	"
2 სასწორილან და საზომავი- ლან. — — — —	2,225	"	2,763	36	"	"	"	"
3 საკაპილან. — — — —	1,600	"	1066	66 1/2	533	33 1/2	"	"
4 რიონით ჩამოტანილ ტი- ვებილან. — — — —	200	"	90	"	"	110	"	"
5 შეკლარის ქეის სამტკრევი.	200	"	150	"	150	"	"	"
6 მალაქის ბულვარის თვეი- ლან. — — — —	28	"						
7 უძრავი ქონების დაფასების.	7,131	11 1/4	9,836	7 1/2	2,329	40	28	"
8 სადუქნე აღგილების ლა- ლა (თითოს 50 კაპ.). —	229	50	163	50	12	"	54	"
9 მლებრების (თითოს 15 მან.)	90	"	105	"	"	"	"	"
10 1/4% (სარგებელი) აქაუ- რი ვაჭრების კაპიტალისა.	1,500	"	1,346	20	145	"	8	80
11 1/4% (სარგ.) უცხო ქვეყ- ნის ვაჭრების კაპიტლისა. —	500	"	626	25	1	"	"	"
12 1/4% (სარგ.) ლროვებით აქ მყოფის ვაჭრების კაპიტა- ლისა. — — — —	400	"	500	71	"	"	"	"
13 მოხელეებილან (2 მან.) და ხელოსნებილან (1-მან.) —	400	"	868	"	"	"	"	"
14 პრიკასჩიკებილან (2 მან.).	250	"	60	"	"	"	190	"
15 მოსამსახურებილან (თი- თოსაგან 50 კაპ.). — —	450	"	203	50	"	"	246	50
16 შავანებილან (თით. 5 გ.).	15	"	20	"	5	"	"	"
17 ღუქნების (თითოს 12 გ.).	17,52	"	1,950	34	12	"	"	"
18 მეფურნებილან (თით. 5 და 10 მან.). — — — —	300	"	305	"	"	"	56	"
19 დალაქების (4 მან.) — —	100	"	41	"	"	"	"	"
20 სასტუმროებილამ (შემოსა- ვალზე ჰკიდია).	340	"	272	"	30	"	38	"
21 ზეტონებილან (7 მან.). —	273	"	343	"	70	"	"	"
22 ვექსალებილან და სესხის ბარათებილან. — — — —	73	"						
23 პონტრაქტებილან და პი- რობაებილან. — — — —	30	"	{ 642	30	150	"	"	"
24 აუქტიონური გაყიდვებილან.	61	95	11	18	"	"	50	77
25 სააქციზო ლალა 20%. —	3,000	"	"	"	3,000	"	"	"
26 ჯარიმის ფული.	100	"	34	"	"	"	66	"
27 ძველი ვალიდან. — —	23,022	99 1/2	12,337	30	1,103	43	9,652	26 1/2
სულ...	47,641	55 3/4	37,043	16	7,541	16 1/2	10,500	33 1/2

### მიმაღვე.

(ნეკრასოვიდან).

ტექში საცარცვად მე არ მივლია,  
ვერც ქურდობასა შემწამებს ვერგინ;  
ჩემი სიცოცხლე დალუპულია  
ჩემი ბატონის ლამაზ ქალისთვინ.

ბატონის ბალში ერთხელ ზაფხულსა  
მე ვმუშაობდი და თან ვმლეროდი;  
იქ მოსულიყო დარღი გულისა  
და უურს მიგდებდა-როგორ ვიმლერდი.

ბევრი სოფელი და ქალაქებიც  
მე დამივლია ჩემს სიცოცხლეში,  
ბევრი მინახაეს იქ ლამაზებიც;

მაგრამ იმას არ გავცვლი არც ერთშე მიგდებდა.

შევ თვალ-წარბა და თეთრ ყირმიშსა ქალს,

მე შევურებდი გაშტერებული!

მე მისი ეში მიღუმებს ენას ცირკულაცია მისამართის

და მაწუვეტინებს ჩემსა სიმღერას.

საყვარებისგან გამიგონია,

რომე მახინჯი ბიჭი არც მე ვარ,

რომ ჩემი ლოკა რძე და ლეინა,

ხუჭუჭ თმანი, დარღიმანდი ვარ!

რაღაც იმედსა ვაძლევდი თავსა....

მაგრამ შევხედე ბატონის სახლებს

და მომაგონდა ვინა ვარ მე და ვინ არის ისა....

ხელი მოვკიდე ისევ ჩემს საქმეს.

მას აქეთ ხშირად ის მოღოდა

და დაჭურებდა ჩემს მუშაობას;

ხან რას ჰყებობდა, ხან იცინდა;

„რამ მოგაწყინა?“ მეუბნებოდა;

თავს გავიძენედი დაღონებულად

და არაფერსა არა ვეტოდი.

„მომე ვაშლს დავრგავ შენს მაგირად;

„შენ შეისვენე-მგონი დაღალდა.“

— ზლეხის შეწევნა ცოდვა არა არს.

მიირთეთ ბარი, ბატონის ქალო!

და როს მართმევდა ხელიდანა ბარს,

ჩემ ხელზე ბეჭედს თვალი მოაელო.

დრუბლიან დღისებრ აემლერა თვალი

და გაუწითლდა სახე, ტუჩები.

— რადაგემართა, ბატონის ქალო?

ასე უბრალოდ რაზედა ჰსწურები?

„ვისგანა გაქვს შენ იქროს ბეჭედი?“

— მალე ბერდება, ვინც იცის ბევრი!

„მიჩვენე მაინც — ერთიც შევხედი!“

და თითში მსტაცა ხელები თეთრი.

მე არ ვაძლევდი ოქროს ბეჭედსა....

მაგრამ მახინჯი ბიჭი რომ არ ვარ, და არ ვარ

მე მომაგონდა და გულის დარღია კიდევ მეტარები

არეციო-როგორ — კოცა მიგარა.

თავის სატროსთან უქეიუნია; და მა მას შესაბ  
ხშირად ჰკოციდა, იმდერდნენ ხშირად;  
პევრი სამეც ფამოულია. თუ მას უაუდო ეს  
შეგრამ ზამთარიც შემდეგ მოვიდა  
როცა ხრუჭუნებს ფეხ-ქვეშ ყინული.  
და როცა სატროსთან მიიღოროდა  
„მურდი!“ იყვირეს და სტაცის ხელი...

განსამართლებლად მე წამათრიეს...

სიჩუხვილის გამო ხმას არ ვიღებდი;  
სამართებლითა თავი გამპარსეს,  
რეინის ბორკილი ფეხებს დამადეს...

ვაი ვაგლახით იქ გამაგზავნეს

სიდანაც კაცი ძვირად ბრუნდება...  
მერჩუნეთ, ძმები! გლეხს არ შეჲშენის  
პზნაურისა ქალის ყვარება.

### სავაჭრო ცნობები.

მთავარ სამთაროველოს წინადაღებისა გამო ქ. მუ-  
თაისის ბუბნინის სასამართლოში ამ წლის 3 ივნისს  
იქმნება გაჭრობა სიმონეთის, ზესტაფონის, ბერლო-  
რის და მოლითის სტანციების შეკეთების თაობაზე.  
ვასი პოდრიადისა ოთხას სამოცდა ათი თუმანი, ექვსი  
მან. და 13 კაპეიკა (4706 ა. 13 კაპ). დანგზუ-  
ლი.

ვაჭრობა დაიწყება თერთმეტ საათზე და გათავდება  
სამზე.

ვისაც ჰსურს რომ ვაჭრობაში გაერიოს, იმან დაწე-  
სებულ ლერბის ქალალდზე უნდა წარადგინოს: 1) პა-  
ვლიტი, ან სხვა რამ იმის ვინაობის დამატებიცებელი  
ქაღალდი; 2) პოლიციიდან ქალალდი, რომ იმას ხაზი-  
ნასთან კარგათ შეუსრულებია უწინდელი პოდრიადები;  
3) ამას გარდა იმან უნდა წარმოადგინოს გირაოთ  
საპოდრიადო ფულის მესამედის თანასწორი ული, ეს  
იყი 1,568 მან. და 71 კაპ.

შოველს მსურველს შეუძლია ნახოს გუბერნიის სა-  
მთაროველოში დილიდან ორს საათამდი ამ საქმისთვის  
საჭირო პლანები, ანგარიშები და პირობები.

შუთაისის გასამაღლი, 1868 წლისა

ეროვნული  
გირდის მიერადება.

გასავალთ სახელები.	დღებულისაბით	ნამდვილ	უნდა დაიხა- რჯულიყო.	რჯოს 1869	დარჩება და
	უნდა დახა- რჯულიყო.	დაიხარჯა	წელში	გარდაიხდება.	
1 პოლიციის ჩინოვნიკებისა- თვის — — — —	10,853	" 10,649	82 <sup>3</sup> / <sub>4</sub>	" "	203 17 <sup>1</sup> / <sub>4</sub>
2 ქალაქის არხიტექტორს. —	975	" 300	" "	" "	675 "
3 პოლიციის მოსამსახურეე- ბის ტანისმოსისათვის. —	525	" 425	" "	" "	100 "
4 პოლიციის სახლის შესა- კეთებლათ. — — —	600	" 700	" "	" "	" "
5 სახელმწიფო ქონების შესა- ნახავი სახლის ქირა (სატუ- სალისთან) — — —	100	" 93	33	" "	6 67
6 შეშა და სანთელი სატუ- სალისში — — —	1,086	" 948	76 <sup>1</sup> / <sub>2</sub>	137 23 <sup>1</sup> / <sub>2</sub>	" "
7 სატუსალი სახლის შესაკე- თებელად. — — —	150	" 100	88	49 12	" "
8 ქ. ხიდების მაყურებელთ და თხრილების გასაწმენდათ.	300	" 243	44	56 56	" "
9 შუჩების გაკეთება ქალაქის ცარიელი ადგილების წინ და ლარიბების ადგილების წინა.	3,300	" 1,478	46	1,821 54	" "
10 ქალაქის განათლებისათვის (100 ფანარი). — — —	3,300	" 1,459	66	68 94	1,771 40
11 შუჩების გასაჩალებლად და ილუმინაციისათვის დიდი უქმების დროს. — — —	600	" 653	38	" "	" "
12 შუთაისის ბულვარის შენა- ხე. — — —	200	" 139	21	17 15	43 64
13 სალორის ზედამხედველს და ორს ტყის მცველს. —	140	" 140	" "	" "	" "
14 ქალაქის ბულვარის სტუ- როს. — — —	120	" 120	" "	" "	" "
15 შუჩების სისუფთავის და თხრილების სიწმინდეზე ზე- დამხედველებს. — — —	2,040	" 1,718	50	" "	321 50
16 ბულვარის გალავანისათვის.	1,500	" " 1,500	" "	" "	" "
17 ჯაჭვის ხილის შესაკეთებლად.	200	" 21	20	" "	178 80
18 სახლის ქირა სამხედრო პი- რებისათვის. — — —	6,803	10 7,015	74 <sup>1</sup> / <sub>2</sub>	" 12 75	" "
19 მოულოდნელი გასავალი,	200	" 187	25	" "	" "
20 ბლანკებისა და კვიტანცი- ების დასაბჭედლათ. — — —	100	" 85	20	" "	14 80
21 პოლიციის საათის ზედა მხედველს — — —	100	" 100	" "	" "	" "
22 დანარჩენი სახლის ქირა სამხედრო პირებს. — — —	3,889	50 <sup>1</sup> / <sub>3</sub> 4,792	84 <sup>3</sup> / <sub>4</sub>	" "	" "
23 შუჩის ფანრების ფასი. —	500	" 447	35	" "	52 65
	სულ. — 37,581	60 <sup>3</sup> / <sub>4</sub> 31,820	4 <sup>1</sup> / <sub>2</sub>	3,663 29 <sup>1</sup> / <sub>2</sub> 3,367	63 <sup>1</sup> / <sub>2</sub>

### განცხადება

სამთაროველოს პარტა. მართულ ენაზედ,  
სქელ და თეორ ქალალდზედ დაბეჭდილი,  
ისყიდება მელიქიშეილის და ქ. სტამბაში და  
სასულიერო სემინარიაში. ვასი 30 კაპეიკა.